# ცნობის ფურცელი

№ 2336 პარასკევი, 28 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2336

**გაზეთის ფასი**: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით**

| კავკასიასა და რუსეთში: | საზღვარ-გარეთ |
|---|---|
| 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., | 1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., |
| 1 თვით—50 კაპ. | 1 თვით—90 კაპ. |

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ. დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მოამბე“**

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ფასი ჟურნალისა**

| კავკასიასა და რუსეთში | საზღვარ-გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ., | 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., |
| 3 თვით—3 მან. | 3 თვით—5 მან. |

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება:** პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

**ალ. ყაზბეგისა.**

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან.** სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

**ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით**

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

ქუთაისში

კბილის ექიმი

**პ. გ. მახარაშვილი**

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვი- სეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ. (წლ.)

კბილის ექიმი

**ი. პ. ახალშენიშვილი**

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5— 7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე·

ქუთაისში

**ექიმი გ. დ. ნასარიძე**

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (0—6.—24)

წარ. 25. ტელეფონი № 617.

**ქართული თეატრი**

**კვირას**, 30 **ნოემბერს**, 1903 **წ**.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

**ციხის საიდუმლო**

დრამა 4 მოქმ. გადმ. ვ. გუნიას მიერ.

II

**ბუტიაობა**

ვოდ. 1 მოქმ. ა. წერეთლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ალ. კარგარეთელი, ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: კ. მესხის ბენეფისოდ „რუსთაველი“.

რეჟისორი **აკაკი**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 28 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

**ჟიზნ ზა ცარია**

ოპერა 4 მოქმ. გლინკასი.

მონაწილეობას იღებენ; ქ-ნნი: ალმაევა, კალინინა; ბ-ნნი: სელიავინი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ა ნ ო ნ ს ი: 29 ნოემ.—„ბოგემა“. კვირას ორი წარმოდგენა. მზადდება წარმოსადგენად „კამმორა“. (ნ.)

**ტფილისის**

**კერძო სამკურნალო**

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ჯიჯინაძე**—კბილისა, 8—10 საათამდე.

**ლ. ივ. კამოევი.**—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

**ნ. ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

**ი. პ. ახალშენიშვილი.**—კბილისა, 10 ს. 11 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**ვ. დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

**ლ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**გრ. მ. სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

**ვ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაძისა. (წლ.)

ექიმი

**ვ. დ. ლამბაშიძე**

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

## საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### შორეულ-აღმოსავლეთის საქმე

ლონდონიდან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს: „22 ნოემბერი. იაპონიის პარლამენტის შეკრება სამშაბათამდე (25 ნოემბრამდე) გადასდეს. ამ გადადებას კეთილ ნიშნად სთვლიან. იაპონიის მთავრობას, ალბად, იმედი აქვს, რომ მანამდე რიგიან პასუხს მიიღებს პეტერბურგიდან“.

იაპონიის პარლამენტი გაიხსნა კიდეც, მაგრამ მიიღო რამ პასუხი იაპონიამ რუსეთისაგან თუ არა, ეს დღესაც არა სჩანს. მაინც ამ ბოლო დროს მეტად ცოტა ცნობა მოდის შორეულ-აღმოსავლეთიდან. რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება მეტად საიდუმლოდ სწარმოებს და დღესაც ვერავინ გაიგო ზედ-მიწევნით, რას თხოულობს იაპონია, რა პასუხს აძლევს რუსეთი და ვინ უფრო აჭიანურებს ამ მოლაპარაკებას. იაპონურ გაზეთებს თუ დავუჯერებთ, ამ მოლაპარაკებას უფრო რუსეთი აჭიანურებს. გუშინდელ დეპეშამაც გვაცნობა, იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა კომურამ და რუსეთის ელჩმა როზენმა თათბირი მოახდინეს, მაგრამ მოლაპარაკების საქმე მაინც წინ ვერ წასწიეს, რადგან რუსეთის ელჩს პეტერბურგიდან ჯერ ინსტრუქცია არა აქვს მიღებული... ნამდვილად მხოლოდ ის ვიცით, რომ რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკება მეტად გულ-გასასიებლად გაჭიანურდა.

იაპონიის პარლამენტის კრებაზედაც თითქმის არაფერი ცნობა არ მოდის. დეპეშამ მხოლოდ ის გვაცნობა, რომ იაპონიის ზედა პალატის თავმჯდომარედ პრინცი ტოკუგავა აირჩიეს და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარედ კანოეო. რომელ პარტიის წევრები არიან ეს თავმჯდომარეები, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე კანოე ცნობილი ომის მომხრე პრინცი კანოეა, თუ სხვა ვინმე,—ამაზე დეპეშაში არა ეწერა-რა.

ბევრს იმედი აქვს, რომ რუსეთი და იაპონია უსათუოდ მორიგდებიან, სისხლის ღვრას არ მოახდენენო, მაგრამ იაპონია და რუსეთი მაინც, როგორც ეტყობა, დღესაც ომის თადარიგში არიან. ამ დღეებში დეპეშამ გვაცნობა, რუსეთის ესკადრა ტუნისიდან (ხმელთა შუა ზღვიდან) შორეულ-აღმოსავლეთს მიდისო. ეხლა კიდევ იაპონური გაზ. „ასაჰი შიმბუნ“-ი იუწყება: ამას წინად იაპონიის იმპერატორის თანადასწრებით, ნავთ-სადგურ იოკოსკოში (იაპონიაშია) აშენებული მესამე ხარისხის კრეისერი „ოტოხა“ ზღვაში ჩაუშვესო. მთავრობამ კიდევ ორი ამნაირი გემი შეუკვეთა იოკოსკოს ქარხანასაო.

### ჩინურ გაზეთის აზრი მანჯურიის საქმეზე

ჩინური გაზ. „ჩეუნ-გაი-ჟიბაო“ მოწინავე წერილში ამტკიცებს, ქალ. მუკდენის ხელმეორედ დაჭერას ჩინეთის განაწილება მოჰყვებაო. ჩინეთმა უსათუოდ ჯარი უნდა გააყვანინოს რუსეთს მანჯურიიდან, თორემ სხვა სახელმწიფოებიც ჯარს ჩააყენებენ ცისქვეშეთის იმპერიაში და ვისაც რომელი ადგილი მოსდის თვალში—დაიჭერენო. გაზეთი ამტკიცებს, ჩინეთმა რუსეთის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი უნდა გამოაცხადოს და ქალ. მუკდენი, ანდუნი და დანდუგოუ საერთაშორისო ვაჭრობისათვის გახსნას. მანჯურიის საქმე კი ჰააგის სამედიატორო სასამართლოს უნდა გადაეცეს გასარჩევადაო.

ერთის სიტყვით, ჩინური გაზეთიც იმასვე თხოულობს, რასაც იაპონელები, ინგლისელები და ამერიკელები თხოულობენ.

### რუსები კორეიაში

იაპონური გაზ. „კოკუმინ შიმბონ“-ი ირწმუნება, რუსეთი მაინც ხელს არ იღებს კორეიაზეო. რუსეთის ელჩმა წინადადება მისცა კორეის მთავრობას: გემების ასაშენებლად 40 ათას გირვ. სტერლინგს გასესხებთ, მეზღვაურთა აკადემიას დაგიარსებთ და ხუთ ინსტრუქტორს გამოგიგზავნით ჯარისათვისაო. ამავე დროს ელჩი შეეკითხა კორეის იმპერატორს, ამ პირობას ეხლავე ვერ დაამტკიცებთო, მაგრამ იმპერატორს ჯერ პასუხი არ მიუცია.

### რუსეთისა და იაპონიის ფლოტი

იაპონურ გაზ. „ასაჰი“-ს კორესპონდენტს გაუგონია პორტ-არტურში, ადმირალ ალექსეევს ვითომ შემდეგი ეთქვას თავის შტაბისათვის: „პორტ-არტურში რომ კიდევ სამი დოკი (გემთ-საშენებელი) მქონდეს და დალნიში კიდევ ორი, ერთ წუთს აღარ დავახანებდი და იაპონიის ფლოტს დავეძგერებოდი, მაგრამ ეხლანდელ გარემოებაში-კი იაპონიის ფლოტის დამარცხება შეუძლებელია, პირიქით, იაპონიის ფლოტი ადვილად გაანადგურებს რუსეთის ფლოტსაო.“

### ზანგები შეერთებულ-შტატებში

ამ ბოლოს დროს შეერთებულ შტატებში მეტად ცუდად ექცევიან ზანგებს: იქაური თეთრი ხალხი მეტად ხშირად თავის ნებით უქრის სამართალს და ქუჩასა თუ მოედანზე, სადაც მოჰხვდება, თავის ხელით უგებს ანდერძს. ასეთმა გულ-ქვაობამ და უღვთოობამ მთელი განათლებული ქვეყნიერობა აალელვა. ამის თაობაზე 24 სახელმწიფოს (საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, გერმანიის, ავსტრიის და სხვა.) მუშების მეთაურებმა მოწოდებით მიჰმართეს ამერიკელებს.

მოწოდებაში ნათქვამია, 1902 წელს მარტო ერთს შტატში თეთრ ხალხს 103 ზანგისათვის გადაეკრა თავისი ხელით სამართალიო, ამერიკის ფედერალურ მთავრობის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ სამხრეთ-შტატებში თითქმის ისევ საზარელი მონობა არსებობსო. ამის შემდეგ მოწოდებაში სწერია: „ამერიკის სოციალ-დემოკრატია შეწუხებული უცქერის მომავალს: შეიძლება დიდი სისხლის ღვრა მოხდეს და ამ სისხლის ღვრას შედეგად კიდევ მთავრობის სასტიკობა მოჰყვება. ცხრა მილიონ ზანგის სიცოცხლე განსაცდელშია ჩავარდნილი; შავ მოდგმას არსებობის უფლება აღარა აქვს. ჩრდილოეთ-ამერიკის რესპუბლიკამ ჯერ კიდევ 40 წლის წინად გაანთავისუფლა ზანგები, ნამდვილად კი ამერიკაში დღესაც მონობა არსებობს. მონობის დროს ნაყიდ ზანგს ფასი ჰქონდა, პატრონები ესარჩლებოდნენ, როგორც თავიანთ საკუთარ ქონებას. ეხლა ზანგს ის ფასიც აღარა აქვს. ჩვენს დროში ზანგებს კაპიტალისტები მხოლოდ იარაღად ხმარობენ თეთრის მუშების წინააღმდეგ. კაპიტალისტები ყველგან და ყოველთვის ცდილობენ, კაცების მაგივრად ქალები და ბავშვები ამუშაონ, ეხლა ამასაც არა სჯერდებიან და ჩრდილოეთ შტატებში—ნიუ-იორკსა, ბრუკლინსა, აკრონსა და სხვ.—თეთრს ხალხს და შავ ხალხს (ზანგებს) ერთმანეთს აძულებენ. მას აქეთ, რაც სამხრეთ-შტატებში მრეწველობა განვითარდა, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შუა არაფერი განსხვავება აღარაა. კაპიტალისტები ეხლა ზანგებს ჩრდილოეთ-შტატებშიაც იარაღად ხმარობენ ტრედ-უნიონების წინააღმდეგ. როცა თეთრი მუ-

შები გაფიცვას ახდენენ, კაპიტალისტებს დიდ-ძალი ზანგი მუშა მიჰყავთ და გაფიცულ მუშებს ამარცხებენ. ამას გარდა მშრომელ ხალხის მძარცველებს სოციალიზმის გაძლიერებისა შეეშინდათ; ამიტომ ესენი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მშრომელ ხალხს თვალები აუხვიონ და თავისი ნამდვილ მტრების მაგივრად ზანგები შეაძულონ. მუშა ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ ყველა მშრომელსა, მუშას, მოდგმის განურჩევლად, ერთი პირი ჰქონდეთ. იგივე ინტერესი ითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატიამ ბეჯითი პროტესტი გამოაცხადოს ისეთ გულისამრევ ამბების წინაალმდეგ, როგორიც ამ ბოლოს დროს ყოველ დღე ხდება შეერთებულ შტატებში“.

მოწოდებას ხელს აწერენ მუშების მეთაურები: აუერი, ზინგერი, ვიქტორ ადლერი, ვალიანი, პრესანსე, ენრიკო ფერი, ვანდერველდე, გერონი და სხვანი.

## ახალი ამბავი

◆ საერო განათლების სამინისტრო ერთ საყურადღებო საკითხის **განხილვას** შესდგომია. ჰფიქრობენ სკოლის გარედ განსაკუთრებულ გაკვეთილების მოწყობას მოზრდილთათვის. ასეთ გაკვეთილებზე უნდა შეასწავლონ საზოგადო განათლებისა ან სპეციალური საგნები. ამგვარ გაკვეთილების მოწყობის ნება მიეცემა სამოსწავლო უწყებას, ერობას, ქალაქისა და სოფლის თვითმართველობებს, კერძო საზოგადოებებსა და კაცებს.

◆ გუშინ, 27 ნოემბერს, დილის 10½ საათზე, ტფილისში გარდაიცვალა კავკასიის მხედრობის 1 კორპუსის უფროსი ინფანტერიის გენერალი თავ. **მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბი**.

◆ 4 დეკემბრისათვის დანიშნულია კრება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. ამ კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს კომისიის მოხსენება **ღვინის ფალსიფიკაციასთან** ბრძოლის შესახებ.

◆ როგორც საგუბერნიო ექიმის თანაშემწის მაჭავარიანის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, 1895 წლიდან დღემდე ტფილისის გუბერნიაში **კეთროვნებით ავად გამხდარა** 20 კაცი: თიანეთის მაზრაში—4, ბორჩალოსაში—2, ტფილისისაში—4, ახალქალაქისაში—4, გორისაში—1, თელავისაში—1, დუშეთისაში—2 და ქალაქ ტფილისში—3. ამ ჟამად ტფილისის გუბერნიაში 10 კაცი ყოფილა ავად კეთროვნებით.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლესს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზასა და იმის შტოებზე სადგურებს ნება მიეცეთ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში** მიღება გასაგზავნად და ჩაბარება ადგილობრივ მცხოვრებთათვის საფოსტო კორესპონდენციებისა.

◆ ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა ამ ზაფხულს გაგზავნილი კავკასიის მსროლელთა **მესამე ბატალიონი**. ამის ნაცვლად ბაქოში ხასავ-იურტიდან გაუგზავნიათ შირვანის რაზმის ერთი ბატალიონი.

◆ კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს **მუხრანის ხიდის** გამართვა, დაადგინა: გამოაცხადოს კონკურსი მუხრანის ხიდის პროექტის შესადგენად. **ხიდს** სიგანე 6 საჟენი უნდა ჰქონდეს. ქვეითად მოსიარულეთათვის იქით-აქეთ ქვაფენილი 1 საჟენი უნდა იყვეს. საკონკურსოდ შედგენილი პროექტი ხიდისა ავტორებმა ოთხის თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ ტფილისის ქალაქის გამგეობას.

◆ გუშინ, 27 ნოემბერს, მცხოვრებთა **ჯანმრთელობისათვის მზრუნველმა** კომისიამ წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას მოხსენება ქალაქის თვით-მმართველობის ხარჯით 2 მომრიგებელ სასამართლოს დაარსების შესახებ.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა, რომ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი** დაარსდეს ქუთაისის გუბერნიის სოფელ სადმელსა, ხარაგაულსა და ბელოგორში.

◆ ტფილისის მოქალაქემ მიხეილ შიოევმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ სომეხ-გრიგორიანთა კონსისტორია ნათლიღება დღეს იორდანესა ჰმართავს ჩემს ადგილში და იქ მიმავალი ხალხიც ჩემ ადგილზედ დაიარებაო. შიოევმა სთხოვა გამგეობას, რომ იორდანე არ გაიმართოს იმის ადგილში და ხალხმაც არ იაროს. გუშინ გამგეობამ ეს ამბავი შეატყობინა სომეხ-გრიგორიანთა კონსისტორიას და სთხოვა დააჩქაროს მორიგება შიოევთან, რომ გამგეობა შეუდგეს ხიდის მოწყობას.

◆ გუშინ-წინ ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში საჯარო ვაჭრობა იყო დანიშნული ალექსანდრეს ბაღის გვერდზე ქალაქის დუქნის იჯარით გასაცემად. რადგან რიგიანი ფასი არავინ შეაძლია გამგეობას ამ დუქნებში უმთავრესად იმ მიზეზით, რომ იქ ფეხის ადგილია გვერდით და უსუფთაობაა, გამგეობამ დაადგინა, დაავალოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, გააქირაოს ქალაქის დუქნები ღირებულ ფასად.

## შინ და გარედ

39.

უკვე აღვნიშნე რამდენჯერმე, რომ ამ ჟამად დაწყებულ სჯა-კამათში, შიდა-რუსეთის გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მთავარი ადგილი უჭირავს საზოგადო საკითხებს. წინანდებურად ლაპარაკი დეტალებზე აღარ არის და განხილვა-ძიების საგნად ფართო და საზოგადო ხასიათის რეფორმები გამხდარა.

მაგრამ, აქა-იქ, ზოგიერთ პროექტში, მაინც არის ლაპარაკი მარტო წვრიმალ ცვლილებებზე. ამ პროექტების ავტორთ ჰგონიათ, რომ საქმეს ეშველება, თუ ზოგიერთი მცირე და უმნიშვნელო რეფორმები მოახდინეს სოფლის მდგომარეობაში. რუსული პრესსა მოსალოდნელის მხნეობითა და თანხმობით აქარწყლებს ამგვარ პროექტების ავტორთა ოპტიმიზმს და სამართლიანად უთითებს მათ წარსულ მაგალითებზე.

ჩვენებურ მკითხველისათვის ეს კამათი „წვრიმალ ცვლილებებზე“ მაინცა და მაინც საინტერესო არ არის და ამიტომ ჯერ-ჯერობით ამას გვერდს ავუხვევ; დღეს მინდა მხოლოდ ერთ-ერთ ამგვარ პროექტზე ვთქვა ორიოდე სიტყვა, რადგან იგი ჩვენ მხარეს შეეხება.

საქმე ის არის, რომ ზოგიერთი მეგაზეთე და პროექტის მთხზველი ისევ შეეხო გადასახლების საკითხს. ამათის ფიქრით, ცენტრს ძალიან ეშველება, თუ მცხოვრებთა ნაწილი განაპირა ქვეყნებში იქმნა გადასახლებული. სხვათა შორის, ლაპარაკი ჩვენ ქვეყანაში გადმოსახლების შესახებაც არის, რასაკვირველია.

საკითხი არ ახალია, არამედ ძველის ძველი. იმის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა; ბევრისთვის იგი კიდეც გამოირკვა, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ვერაფერმა ვერ დააჯერა, რომელნიც მტკიცედ არიან დარწმუნებულნი ან განზრახ შეჰყავთ სხვები შეცდომაში იმის შესახებ, რომ კავკასიის დასახლება შიდა-გუბერნიების გლეხებით ყველასათვის სასარგებლო იქნებაო.

პირველის შეხედვით ეს ძველი საკითხი სრულიად მარტივი უნდა იყოს: თუ შიდა გუბერნიებში გლეხები შევიწროებულნი არიან ადგილ-მამულის სიცოტავით, ხოლო თუ კავკასიაში ბევრია თავისუფალი მიწა, რამ უნდა დაუშალოს გადასახლებას? ან წინაალმდეგ: თუ კავკასიაშიაც ნაკლებია თავისუფალი ადგილ-მამული, როგორ უნდა მოხერხდეს აქ სხვისი დასახლება? საკითხი მარტივია და ადვილად გადაწყდება სტატისტიკურ-ეკონომიურის გამოკვლევით. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ გადასახლების მოტრფიალენი ასე უბრალოდ და პირდაპირად როდი უყურებენ საქმეს. მაშ რა უნდათ მათ? როგორ აყენებენ საკითხს?

ამაზე გარკვეულ და სამართლიან პასუხს თვით რუსნი-მკვლევარნი გვაძლევენ. სხვათა შორის, გავახსენებ მკითხველს ამას წინად „პეტერბ. ვედომ.“-ში (№ 250-ში) დაბეჭდილ ჩინებულ წერილს ბ. მატიუშენსკისას. ეს პირუთვნელი პუბლიცისტი პირდაპირ ამბობს: „კავკასიაში ჩვენის გლეხების გადასახლების მოტრფიალე-დამცველნი იმის უარს ვერ იტყვიან, რომ ამგვარ გადასახლების მოწყობა მათ პოლიტიკურის მოსაზრებით უნდათ; საკითხის ეკონომიური მხარე-კი სრულიადაც არ აინტერესებთ; უბრალოდ რომ ვთქვათ, ისინი ამ გადასახლებას ჰქადაგობენ კავკასიის გარუსებისათვის“.

რა-კი საკითხი ეს არის, რა-კი ასეთ მოსაზრებით ხელმძღვანელობენ, გადასახლების მოტრფიალეთათვის არავითარ საწინააღმდეგო საბუთსა და მოსაზრებას მნიშვნელობა აღარ აქვს. მართლაც, ბ. მატიუშენსკისა არ იყოს, რათ უნდათ სუვორინ-პალმებს გაიგონ—არის თუ არა კავკასიაში თავისუფალი მიწა, შეუძლიანთ თუ არა მკვირთ დაუთმონ თავისი ადგილ-მამული გადმოსახლებულთ, სძლებენ თუ არა რუსი-გლეხები ჩვენს ქვეყანაში და სხვა ამგვარი; ყველა ეს გადასახლების მოტრფიალეთ მეტ და სასაცილო საკითხებათ მიაჩნიათ, რაკი გადაწყვეტილი აქვთ, რომ კავკასია უნდა გარუსდეს და ეს რუს-გლეხებმა უნდა იტვირთონ...

ბ. მატიუშენსკი ვრცლად ეხება ამ საკითხის ეკონომიურს მხარეს, მაგრამ მის მოსაზრებათ არ გავიმეორებთ, რადგან ათასჯერ იგივე თქმულა და დაწერილა; ათასჯერ თქმულა, ოფიციალურადაც-კი, რომ „კავკასიის მკვიდრნი თვით არიან შევიწროვებულნი ადგილ-მამულის სიმცირით, რომ გადმოსახლებული გლეხნი ვერ შეეთვისენ კავკასიის ჰავას, დასნეულდნენ და გაწყდნენ, რომ ადგილობრივ ვითარების უცოდინარობისა გამო კოლონისტებად ვერ გამოდგნენ“ და სხვა. ყველა ეს ჭეშმარიტებად მიაჩნიათ პირუთვნელ და დაუბრმავებელ მკვლევართ. ამიტომ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ბ. მატიუშენსკის აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად ხეირიანად შეუძლიანთ რუს-გლეხთ კავკასიის გარუსების საქმე იტვირთონ. ამის გამო ბ. მატიუშენსკი აი რას ეუბნება გადასახლების მოტრფიალე-მომხრეთ:

„გადასახლების საშუალებით ჩვენ ერთი ნაბიჯიც ვერ გადავდგით წინ კავკასიის გარუსების საქმეში და ვერც გადავდგამთ. რუსის გლეხს არავითარი გავლენა არა აქვს ადგილობრივ სოფლის მცხოვრებლებზე და არც შეუძლიან იქონიოს. პირიქით, რუსის გლეხი თვით ემორჩილება უფრო გამოცდილსა და ადგილობრივ ვითარების უკეთ მცოდნე კავკასიის მკვიდრს. გადმოსახლებული სწავლობს ყველაფერს კავკასიელისაგან და არა კავკასიელი რუსისაგან. ამის გამო მკვიდრნი ხელში იჭერენ რუსებს ეკონომიურადაც და გონებრივადაც“.

შემდეგ ბ. მატიუშენსკი ეხება გადასახლების საქმის წარსულსა და მომავალს და ამტკიცებს, რომ გადასახლების მოჰხრეთ ტყუილი იმედი აქვთ რუს-გლეხისა. „რუსი-გადასახლებული,—ამბობს ავტორი,—ძალუმი და განვითარებული კოლონისტი-კი არ გახდა კავკასიაში, არამედ ღლიურ ლუკმაპურის დიდის ჭაპან-წყვეტით მაძიებელი პროლეტარი“.

ასეთ სურათს გვიხატავს ბ. მატიუშენსკი და სამართლიანის გულის წყრომით ეკითხე-

# ფელეტონი

## ჩვენ და ჩვენი თეატრი

„დროთა ბრუნვის გამო ჩვენი ისტორიული კათედრა გაუქმდა და დარჩა მხოლოდ თეატრი, სადაც ისტორიამ თავი შეაფარა.“
Plebs.

„დარჩა მხოლოდ თეატრი, სადაც ისტორიამ თავი შეაფარა“.

ამით ყველაფერი ითქვა.

ჩვენ ორნი ვიყავით. მე ყველას ავადმყოფი ვგონივარ. ეს სწორედ ის ავადმყოფობაა, რომელმაც მოციქულ თომას ქრისტეს ჭრილობა თითით გააშინჯვინა, რისთვისაც იქვიან მოციქულს ისტორიამ შუბლზე საშვილისშვილოდ და საუკუნოდ დააწერა: ურწმუნო!

ჩემი თანამგზავრიც ყველაფერს ცერად უყურებდა. ორივე უკმაყოფილონი ვიყავით, და რა გავიგეთ, რომ არსებობს ისეთი თეატრი, „სადაც ისტორიამ თავი შეაფარა“—ხელი-ხელ გაყრილნი კმაყოფილთან წავედით. კმაყოფილმა (იგივე ისტორიის მოგვი) ვირგილიუსობა გაგვიწია და თეატრში „თავშეფარებული ისტორია“ გვაჩვენა.

ჩვენი დიდებული „ისტორია“ ძლიერის, ციურის ნიჭით აღჭურვილმა მგოსანმა გენიოსური ხელით წარსულ საუკუნოებიდან ამოგლიჯა, სცენაზე გადმოიტანა და...

მე და ჩემმა თანამგზავრმა ვნახეთ იგი: ჩემ წინ გადაშლილია უსაზღვრო, უძირო, ბნელი და ცივი სივრცე. მე ვგრძნობ, რომ ეს სივრცე ძალიან ღრმა არის, მაგრამ იგი ცალიერი არ უნდა იყოს. იქ, ჯურღმულში, სიბნელეში რაღაც ცხოვრობს, მოძრაობს, სუნთქავს, კვნესის და იმის სივრცეზე უფრო შავი ტალღები ღელავენ, რაღაცას ეხეთქებიან, იმსხვრევიან და ისე ცხოვრობენ, როგორც მე, როგორც ყოველივე ჩემს გარშემო. ამ მოძრაობას და ცხოვრებას არა ვხედავ, არცა ვგრძნობ, იგი მხოლოდ წარმოდგენილი მაქვს.

ამ უფსკრულში მოსიარულე ტალღების სუნთქვა, კვნესა და გუგუნი ჩემს ყურამდე არ აღწევს, არცა ვგრძნობ—მხოლოდ წარმოდგენილი მაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ის, რაც წარმოდგენილი მაქვს—ქვევით, სიბნელეში არსებობს და ცხოვრობს.

ღრმა სიჩუმეა.

ვირგილიუსმა პირზე თითები მიიდო, მერე ხელი მკრა და ამით ისტორიის დაწყება მანიშნა. მე და ჩემი თანამგზავრი გავინაბეთ.

უძირო ჯურღმულიდან ნელ-ნელა ამოდის პატარა ციხის მაგვარი ძვირფასი გვირგვინი. იგი ბრჭყვინავს, ელავს და თვის გარშემო პატარა მანძილზე სიბნელეს ამარცხებს. გვირგვინს თან მოსდევს საუცხოვო ტახტი, რომელზედაც საარაკო ტანისამოსში მორთულნი ქართველთა მეფე და დედოფალი სხედან. შემდეგ კიბის საფეხურები იწყება. მასზე თავადნი, მხედართ-მთავარნი და სხვა წარჩინებულნი პირნი დგანან. ხმალ-ხანჯალი, ოქრო ვერცხლისა და ძვირფას ტანისამოსებისაგან შეკრული თაიგული ჰაერში ჩერდება და... მეფემ ხელი მაღლა აილო და ვილაცას რაღაც ანიშნა. იმ წამსვე უფსკრულში რაღაც შეინძრა, ახმაურდა და იგრიალა. იქიდანვე მომაკვდავთ და დაჭრილთ კვნესა, ხრიალი, წყევლა და კრულვა მომესმა. აქა-იქ სიბნელეს მხოლოდ ხმალ-ხანჯალთ პრიალი-ღა არღვევს. მეფე ისევ ხელს იქნევს. უფსკრულიდან ამომავალ გრგვინვაში გაქცეულთა და მდევართ ფეხის ხმა, გამარჯვების კიჟინა და ყვირილი მესმის. მეფე და მისი ამალა სიხარულისაგან ცას ეწევა.

ისევ სიჩუმე.

— ეს რა... რა არი?—გაუბედავად ვეკითხებოდი ვირგილიუსს და მეფესა და მის ამალაზე ვუთითებ.

— ქართველთა ისტორიაა, ქართულ ისტორიულ დრამებით დახასიათებული.

— მერე რა... რაზე სდგას?

— როგორც ხედავთ, ჰაერში.

— ჰმ! მგონი, უფრო მაგარი საძირკველი უნდა ჰქონდეს, თორემ თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, რომ ჰაერი...

— საძირკველი იქნება აქვს კიდევაც... არა, საძირკველი, რასაკვირველია, ექნება, მაგრამ, ხომ იცით, რომ იგი ყოველთვის მიწაში, სიბნელეშია ხოლმე.

— საძირკველი რომ გვენახა, კარგი იქნებოდა. ვირგილიუსმა ცერად გადმომხედა და მეც გავჩუმდი.

— ორმოდან რაღაც ხმაურობა მესმოდა. იქ, მგონი, რაღაც მოხდა.

— ომი იყო.

— ომი? რათ იყო?

— ბავშური კითხვაა.

— არა, მაინც?

— მეფის სურვილი ეგ იყო.

— მაშ ყოველივე, რაც ამ საძირკველში ხდება, მისი მიზეზი დასაწყისი და ბოლო მხოლოდ...

— მეფეა!

— კიდევ ერთი კითხვა: ქვევით, ორმოში რაღაც მოძრაობს, ცხოვრობს, იმას, მგონი, ხალხი ჰქვიან.

— ბრბო! უბრალო ბრბო!

— დიაღ, ბრბო, მაგრამ ეს ბრბო საინტერესოა. ამოიყვანეთ, გვაჩვენეთ.

— წვრილმანის მიმდევარი ყოფილხართ.

— მაინც, თუ შეიძლება...

— არ შეიძლება, საჭირო არ არი! სიჩუმე. ჩემი თანამგზავრი დაღვრემილია და ვირგილიუსსაც და უფსკრულსაც ცერად და ზიზღით უყურებს.

— უკაცრავად,—დავიწყე მე,—შეიძლება ეს მეფე და ამალა გავშინჯო?

ვირგილიუსს უკმაყოფილება ეტყობა:

— საჭირო არ არის. აქედანაც კარგად სჩანან.

— სჩანან, მაგრამ, ცოტა ახლო მივალ, ოდნავ ხელს შევახებ.

ვირგილიუსი გაჯავრდა.

— თქვენი უბედურებაც მაგაშია: ყველაფერი უეჭველად ხელით უნდა გაშინჯოთ და თუ შიგნით არ ჩაიხედეთ და ქიმიური ანალიზი არ გაუკეთეთ, ვერ მოისვენებთ.

ბოლოს ნება მომცა.

მეფეს ზურგში ჩავუკაკუნე.—ფუყე იყო. მეფის ამალას გული და თავ-ფეხი გავუშინჯე.—ბანის ტომრები იყვნენ. მხედართ მთავარ-

ბა გადასახლების მომხრეთ: რად დაგჭირდათ ესოდენ საშინელი მსხვერპლი? ნუ-თუ არ გებრალებათ ის რუსის გლეხნი, რომელთადმი სიყვარული სულ პირზე გაკერიათ?...

აღსანიშნავია, რომ მის შემდეგ, რაც ბ. მატიუშენსკის წერილი დაიბეჭდა „პეტერბ. ვედომ.“-ში, სუვორინის „ნოვ. ვრ.“-მაც თითქო შესცვალა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ: იქ დაიბეჭდა ვრცელი წერილი, რომელიც ჩვენს გაზეთში თითქმის სრულად გვქონდა გადმოთარგმნილი („პრესსა“-ში) და რომელშიაც გაზეთი, სხვათა შორის, გადასახლების საქმესაც ეხებოდა და ამტკიცებდა: კავკასიაში შიდა გუბერნიებიდან გლეხთა გადასახლებაზე ამიერიდან ლაპარაკიც-კი უნდა მოისპოს.

სამწუხაროდ, ლაპარაკი არ ისპობა და, როგორც ზემოდ აღვნიშნე, ეხლაც აღმოჩნდნენ „პროეკტორები“, რომელთაც ისევ და ისევ გადასახლება მიაჩნიათ ყოველგვარ ავადმყოფობის უებარ მალამოდ!

**გან**

# რუსეთის ქრონიკა

✦ საგლეხო კანონ-მდებლობის შემმუშავებელმა კომისიამ უკვე გადასინჯა საგლეხო დებულების ის დადგენილებანი, რომელნიც ეხებიან სანადელო მიწების გაყიდვასა და დაწინდვას, სათემო მიწის გაყოფას, ოჯახის გაყოფის წესებს, სასოფლო საზოგადო მართვა-გამგეობის მოწყობასა, სოფლის სასამართლოსა, სოფლის საზოგადოებიდან გლეხის დათხოვნასა და საზოგადოებაში ჩარიცხვას. ამ ნაირად რეფორმები უმთავრესად ეხება საგლეხო საზოგადო მმართველობას, წოდებრივ საგლეხო სასამართლოსა და ადგილ-მამულით სარგებლობის წესებს. ხოლო კანონები გლეხის პირადულ უფლებების შესახებ უცვლელად რჩება.

✦ „კიევლ.“ იუწყება, რომ კიევის უნივერსიტეტის კარებზე გაკრულია რექტორის მიერ ხელ-მოწერილი განცხადება: „სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, 19 და 20 ნოემბერს შეჩერებულია მეცადინეობა წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში და იმის დაწესებულებებში და სტუდენტებს აკრძალული აქვთ უნივერსიტეტსა და იმის დაწესებულებებში შესვლა, გარდა საავადმყოფოსა და უნივერსიტეტის კლინიკებისა“.

✦ კიევიდან „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ სამსახურიდან გადადგნენ საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სამეხანიკო განყოფილების დეკანი პროფესორი ზვორიკინი, რომლის ხელმძღვანელობით მოეწყო შესანიშნავი სამექანიკო სახელოსნო, და პროფესორი ქიმიისა რეფორმატსკი, რომლის მეცადინეობითაც მოეწყო საქიმიო ლაბორატორია.

✦ უწმ. სინოდს აზრადა აქვს მომავალ წლისათვის ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების შესანახ კრედიტს ნახევარი მილიონი მანეთი მოუმატოს. ამ ნაირად მომავალ წელს მთავრობას სამღვდელოების შენახვა დაუჯდება 12 მილიონ მანეთად და სასულიერო სასწავლებლებისა—13 მილიონ მანეთამდე.

✦ როგორც „პრ. კრაი“ იუწყება, 18 ნოემბერს, შუადღის 5 საათსა და 40 წუთზე, ეკატერინოსლავის მახლობლად, სადგურ დოლგინცევოში თოფით მოუკლავთ რკინის გზის 1 ნაწილის მოძრაობის განყოფილების (სლ. ტიაგი) უფროსი ი. ფ. კოტლიაროვი. მკვლელი დამალულა.

✦ ქალთა სასოფლო-სამეურნეო განათლების გამარცელებელი საზოგადოება ამ ჟამად შუამდგომლობს, სადაც ჯერ არს, პეტერბურგში დაარსდეს ორის წლის სასოფლო-სამეურნეო საქალებო კურსები. მეცადინეობა კურსებზე თეორიულ ხასიათისა იქნება და შეეხება სასოფლო მეურნეობის სხვა-და სხვა დარგს. კურსებზე მიიღებენ იმათ, ვისაც დედათა გიმნაზიაში სწავლა დაუსრულებია, ან იმის შესაფერი განათლება მიუღია. პირველ კურსზე განსაზღვრულია მიიღონ 40 მოსწავლე. ყოველ წლიურ გადასახადად დადგენილია 125 მანეთი.

✦ როგორც „კიევ. გაზ.“ იუწყება, კიევის უნივერსიტეტის პროფესორთა წრეს აღუძრავს შუამდგომლობა საერო განათლების მინისტრის წინაშე, მიეცეს მას ნება სვიატოშინოსა და კიევში დააარსოს ამერიკულ და ინგლისურ სკოლების ტიპის პროგიმნაზია პანსიონითურთ ქალებისა და ვაჟებისათვის. პროფესორებს აზრადა აქვთ სამაგალითოდ მოაწყონ ეს სკოლები და დაბალ კლასებში ქალებისა და ვაჟების ერთად მეცადინობა შემოიღონ.

# სასამართლო

### მთიულების საქმე

გუშინ, 27 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე თიანეთის მაზრის სოფელ ტერტას მცხოვრებთა შაა ფერეზაულისა და ჰასან ამრიევისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ კავკასიის სამხედრო ოფიცერის ანატოლ კალიშევსკისა და ორის ყაზახის, ტრუხმანოვისა და პოდლესნის, მოკვლის განზრახვა. 1902 წელს,7 ივლისს, სამსახურის საქმეებისა გამო კაპიტანი კალიშევსკი ორის ყაზახით მონავალა თერგის ოლქიდან თიანეთის მაზრაში. კალიშევსკის თან ჰხლებია თიანეთის მაზრის კიის სოფლის საზოგადოების მამასახლისი. როცა მგზავრები მოახლოვებულან სოფელ ტერტს, მინდორში მყოფ სამ მწყემსთაგან ერთს თოფი უსროლია კალიშევსკისა და იმის თანამგზავრთათვის, მაგრამ ვერც ერთისთვის ტყვია ვერ მოუხვედრებია. მამასახლისს მწყემსებისთვის უთქვამს, მგზავრი აფიცერია, სამსახურის საქმეების გამო მიდის და არაფერს არ დაგიშავებთო. მწყემსებს მაინც განუგრძვიათ სროლა თოფებისა და თუმცა 25—30-ჯერ დაუცლიათ, მაგრამ დაჭრით ვერც ერთი ვერ დაუჭრიათ. კალიშევსკი უკანვე დაბრუნებულა. ეს ამბავი შეუტყობინებიათ ადგილობრივ პოლიციისათვის, რომელსაც დაუპატიმრებია მწყემსები შაა და დადიკ ფერეზაულები, და ჰასან ამრიევი. გამოძიების დროს მამასახლისს ოკიევს, სხვათა შორის, უთქვამს, რომ როცა მწყემსებს მიუახლოვდით 200—250 საჟენის მანძილზე, იმათ შემოგვძახეს: „არ გამოგიშვებთ, უკანვე გაბრუნდითო“. როცა მე დავუძახე მწყემსს, რომ ჩვენ ვახლავართ ოფიცერს, რომელიც პეტერბურგიდან არის გამოგზავნილი სამსახურის საქმეებისა გამოო, იმათ გაიმეორეს, დაბრუნდით უკან, ამ გზით არ გაგატარებთო. ჩვენ გზა განვაგრძეთ და მაშინ მწყემსებმა სროლა დაგვიწყესო. დაპატიმრებულ ფერეზაულებს და ამრიევს უთქვამთ ბოქაულის ოზიაშვილისათვის, მართალია, თოფები ვესროლეთ კალიშევსკის და იმის თანამგზავრებს, მაგრამ შეცდომით მოგვივიდა, რადგან ისინი ყაჩაღებად მივიღეთ და გვეგონა, რომ ჩვენის საქონლისა და ცხენების მოსაპარავად მოდიოდნენო. ხშირად მთაში ყაჩაღები ოფიცრის ტანისამოსით მოდიან ხოლმე და იპარავენ საქონელსაო. სამივე მწყემსი პასუხის გებაში მისცეს, საქმის გარჩევამდე ერთი ბრალდებული, დადიკ ფერეზაული, საპატიმროში გარდაიცვალა. ტფილისის ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე განუხილავს, ბრალდებულნი დამნაშავეებად არ უცვნია. ბრალმდებელს განაჩენი განუსაჩივრებია. გუშინ პალატამ განიხილა ეს საქმე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

# წერილი კახეთიდან

### შემოდგომა სოფლად

ამ ჟამად გლეხ-კაცს თითქმის ყველა საქმე გათავებულ-დაბინავებული აქვს. გლეხი ამ დროს უფრო მოცლილია და ამიტომ ეხლა უფრო ეძლევა ქეიფ-დრო-გატარებას. ამინდმაც ხელი შეუწყო: სექტემბრის მეორე ნახევრიდან მშვენიერი ტაროსი დაიჭირა. თელავიდან სოფლად ჩასული ნათლიაც სწორედ ეხლა დაუკრავს თავს გლეხკაცს. „გამარჯობა, ნათლი მამ!“—ღიმილით მიესალმება გლეხს, ნათლი დედას გაუცინებს, შეაძლებს ზოგმა საკაბეც 12 კ. ჩითი მიართოს, ამოიღებს დაფუშულ ხურჯინიდან რამდენსამე გირვანქა თხის ხორცს და დროებით დაბინავდება იმასთან. მერე, იცით, მკითხველო, ვინაა ეს ნათლია? ეს ის წურბელაა გახლავთ, რომელსაც პირობა აქვს შეკრული გლეხთან ვალში ღვინო წაიღოს. შიგა სწერია, 20—30 ან 40 საპალნე ღვინო მომეცი ამდენ თუმნად და ყოველ წლიწადს მოსავლის ნახევარი, ან ორი მესამედი, უნდა გვზიდო, ვიდრე ზემოდ მოხსენებული რაოდენობა არ შეუსრულდება და თუ არ მომცე, ამდენი ჯარიმა გადაიხადოო. აი, ამ პირობებითა ჰქავს შეკრული თავისი ნათლიმამა და ამ უკანასკნელმაც ძალა-უნებურად უნდა მიიღოს, თორემ უჩივლებს და ერთ იმოდენას კიდევ მიუმატებს. ნათლია რთველში იმყოფება, ყურძენსაცა ჰგზავნის შინ, ნათლი ჯალაბიდან გამოტანებულ ჩურჩხელასაც გაავლებინებს ბუზღუნით, ეს სულ დედაკაცის დავიდარაბააო, და როცა რთველს გაათავებენ, დაიგულებს რამდენი დადგება ღვინო, რომ მერე ვარაუდით წამოიღოს, აავსებს ცარიელ ხურჯინს, შეჯდება ცხენზე, მიუშვებს აღვირს და ქმიტინით მოდის თელავისაკენ. დიახ თუ ნებით არ მიართო, უჩივლებს, აღმასრულებელ ფურცელს აიღებს და სასამართლოს ბოქაულის ძალით წამოიღებს. როგორც იყო, ვაი თუ ვახშით ვალიც გაისტუმრეს, თუ მთელი არა, ნაწილი ან სარგებელი მაინც. ოღონდ კახელმა თვალით დაინახოს რამე და არაფერს დაიშურებს. მოირთვლიანეს კიდეც, მაჭარიც დადუღდა, დადვინდა და მცხოვრებთაც დაიწყეს მიცვალებულების და ცოცხლების მოგონება. უპირველეს უფლისა მიცვალებულები მოიშორეს: სული აუხსნეს, წირვები გადაუხადეს, ტაბლები უძღვნეს (სულიერ მამათ) და გამართეს სადილები (წირვაში), რომლისთვისაც ნათესავ--მეზობელ-მეგობრები დაჰპატიჟეს. ესენიც არ დაჰზარდებიან და ხშირად რამდენიმე დღე რჩებიან ერთმანეთში. გარდაიხადეს მიცვალებულთა ვალი და ყველა სოფელი გამხიარულდა, ყოველ დღე სადილები (მართლა სადილი-კი არ გეგონოთ: ერთი ვარია მოხარშული ან ორიოდ კაკალი და ყველი, აი მათი სადილი), უზომოდ ღვინის სმა. კვირაობით ხომ ყოველ სახლიდან მოისმის სიმღერის ხმა. ღვინით გაჟღენთილთ ისევ ჩარექა პირზე მიუტანიათ და ყელში რომ აღარ ჩადის, წვერულვაშზე ეღვრება და წითლათ ჰღებავს ტანისამოსს.

ერთ ქოცოს-კი სადღეობოდ მიაგდებს და გასასყიდი ღვინის გარდა, დახარჯულ ქოცოდან ჰსომს და დალევს იქამდე, ვიდრე უკანასკნელ ჩარექას არ ამოიღებს. მერე დაადგება ზამთარს—სიცივეში და ზაფხულს—სიცხეში სამუშაოს ცარიელ პურსა და მღვრიე წყალზე. ბევრი კვირა გავა, რომ ერთი ჭიქა ღვინოც ვერა ჰნახოს. ეს დრო სოფლის წვრილი მოხელეების ბუდაზია. აი, ეხლა არიან გამოფხიზლებულნი, თვალებ დაჭყეტილნი, რომლის კვალი ჯერ ჯიბისაკენ იყურება. ასეა ყველგან და ყველაზე, თუ „გარანტია“ მაგრად არ დაიჭირა ხელში, ვერ იცხოვრებს.

რაც დრო და ხანი გადის, სოფლის სულიერი მამანი და ცხოვრებნი უფრო შორდებიან ერთმანეთს. ეს სულ ადრე და მალე მოსასპობ კოდის პურმა, 5 ლიტრა ქერმა, ნახევარ ჩაფ თუ თუნგ ღვინომ და 25 კ.—1 მ.—მა გამოიწვია, რომლსაც იხდიან მღვდლის სასარგებლოდ.

ახლა ქორწილები, სალოცავები... მაგრამ მხიარულება და დროს გატარება ბევრმა მალე შესწყვიტა. ზოგის შვილი წაიყვანეს სალდათად, ზოგის ძმა და ზოგის—ბიძაშვილი გაისტუმრეს შორ ქვეყნებში.

**დეკადენი**

# წერილი ქიზიყიდან

### შემოდგომის ნათესობა.—ქიზიყის ჩამორჩენა.

მოგეხსენებათ, რომ ქიზიყის გლეხკაცობა შემოდგომის ანეულს ჰხნავს და ჰფარცხავს ორის თვის განმავლობაში,—სექტემბრისა და ოქტომბრისა. წელს ამ ორის თვის განმავლობაში დიდი უწვიმობა იყო. მართალია ხვნით რის ვაივაგლახით ხნავდნენ მაგარ, გამოფიტულ მიწას,

ნი და ჯარის-კაცნი გავშინჯე.—შიგნით მავთულისგან გაკეთებული მაშინები ჰქონდათ. ყველანი მაშინები იყვნენ, ყველა მაშინებით დადიოდა, სუნთქავდა და ლაპარაკობდა.

—საკვირველი კაცი ხართ!—უკმაყოფილოდ წამოძახა ვირგილიუსმა.—აქედანაც ხომ კარგად ხედავდით და ეგ გულში ჩაძრომა რაღა ოხრად გინდათ?

—უკაცრავად... მაპატიეთ, მაგრამ ამით, მგონი... მგონი სული უნდა ჰქონდეთ.

ვირგილიუსი მოთმინებიდან გამოვიდა.

—სული! სული! სული კი არა, ფაფა არ გინდათ! ვიღაც უვიცი და თავხედი ჰაბუკი მოვა და სული გვაჩვენეთო! თქვენ ჯერ მართლ-წერა ისწავლეთ და სულიც მერე მოითხოვეთ. ან რა ოხრად გინდათ ეგ რაღაც სულია! სისულელეა!

ვირგილიუსი მეტის მეტად გაბრაზდა, გაჯავრდა, პირიდან დორბლებს ჰყრიდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, ხელებს იქნევდა, მლანძღავდა და მემუქრებოდა.

ჩემმა თანამგზავრმა უფსკრულისკენ ხელი გაიშვირა და დაღვრემით სთქვა: „აწმყო გველივით მეზიზღება, წარსული ჰირივით მეჯავრება. მე ვიცქირები ბრწყინვალე მომავლისკენ, სადაც ისპობა ყოველგვარი უკანონობა და ძალმომრეობა, სადაც დაჩაგვრას და გაყვლეფას ადგილი არ ექნება და თეატრშიც მინდა ყველაფერი ეს დავინახო“.

ორივენი წავიდნენ.

მარტო დავრჩი.

და რა ავანთე ჩემი სუსტი ფანტაზიის მკრთალი სანთელი, ნელ-ნელა, ფრთხილად და შიშით უფსკრულში ჩავეშვი. გზა არ იყო, სიბნელე და ათასი გაუვალი ღრე, ხევი და კლდე კი სიარულს მიშლიდა, მაგრამ ბოლოს მაინც ჩავედი და...

ვნახე ჩვენი წარსული.

ვნახე ის დიდებული, მედგარი, მორწმუნე, მხნე, ყოვლის ამტანი და წამებული ერი, რომელმაც თავის ზურგზე ოთხი ათასი წელი გადაიტარა, ათასი რისხვა, ვარამი და ჭირი მოიგერა და გარეშე და შინაურ მტერთაგან ოთხ კედელ შუა მომწყვდეულმა, ათასჯერ თავი დაიხსნა და თვისი სარწმუნოება, იდეალი, ტანჯვა და ბრძოლისგან დაღლილ დასუსტებული სული მეცხრამეტე საუკუნემდის მოიტანა. იგინი იბრძოდნენ, მაშასადამე შეეძლოთ ბრძოლა, მაშასადამე ებრძოდნენ იმას, რაც მათ მძიმე უღლად აწვა კისერზე. იმ ჯურღმულში ვნახე, რომ იმათაც ისეთივე სული და სისხლი აქვთ, როგორც ჩვენ, მათ მოძრაობასაც ისეთივე მიზეზები აქვთ, მათაც ისეთივე ძალა აღელვებს, როგორც ჩვენ. ისინიც უკეთეს ცხოვრებისაკენ მიისწრაფვიან, რაღაც უნდათ, რაღაც უხილავ და ხილულ ბორკილის დამტვრევას სცდილობენ და თავის სულის და გულის ყოველ ატომით ისე სცხოვრობენ, როგორც ჩვენ, როგორც მე. ჩვენსა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფორმაშია, გარეგნულია, უმნიშვნელოა. საძირკველი და ყველაფრის მიზეზთა მიზეზი კი ერთი და იგივეა.

იმ უფსკრულში გაუზომელ და უძირო ტალღებიდან ამოვარჩიე და ზევით ამოვწიე ის, რაც მესაჰიროებოდა, მენათესავებოდა და როცა მახლობელ კლდეზე ავედი და ჩემი მკრთალი სანთლით იქაურობა გავანათე, მაშინ დავინახე, რომ ჩემგან ამორჩეულ, ამოწეულ, ამობურთებულ და განათებულ ტალღებში მეც ვჩანვარ. ამ ტალღებში ჩემი საკითხები, მისწრაფება, ტანჯვა, სიხარული, ჩემი მონობა, განთავისუფლების სურვილი, ჩემი ბრძოლა და ჩემი დამარცხებაც დავინახე. ჩემსა და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფორმაში იყო. ჩემი ცხოვრება უფრო რთული, განიერი და დახლართული იყო, მაგრამ საძირკველი, ძირითადი და უმთავრესი საკითხები კი ერთი და იგივე გვქონდა. და რა დავინახე, რომ ჩვენი ცხოვრების უმთავრესი ძარღვი, ცხოვრების აზრი, ბრძოლის მიზეზი და ნიადაგი ერთი და იგივე გვაქვს—ის ჩემგან ამორჩეულ-ამოწეული და განათებული ტალღები შემიყვარდა. ჩვენ შორის რაც უფრო მეტს საერთოს და შემაერთებელ წერტილებს ვპოულობდი, მით უფრო ძლიერ მიყვარდა იმ უფსკრულის ძირი. იქ ჩემი კითხვების პასუხს არა ვხედავდი და არც თუ როდისმე ვიპოვიდი და არც ვეძებდი, მაგრამ ის, რაც ვიპოვე—ჩემთვის ძვირფასი იყო და მისი არ შეყვარებაც ისევე არ შემეძლო, როგორც ჩემი ცხოვრების და ბრძოლის მიზნის და აზრის არ შეყვარება არ შემიძლიან. ისინი ისე კი არ შევიყვარე, როგორც მარტოოდენ ქართველები, არამედ ისე, როგორც მებრძოლნი ქართველნი, როგორც მთელი კაცობრიობის ერთი გუნდი.

მე შევიყვარე ის, რაც ჩემ თანამგზავრს „ჰირივით ეჯავრება“. ჩვენ სულ სხვა-დასხვა დასკვნამდის მივედით. ამისი მიზეზი-კი ჯერ ერთი ის არის, რომ მე იმ აუარებელ ტალღებში ისეთი რამ ვიპოვე, რაც პატივის საცემია და მეორე—ის პატივის საცემი ადგილები ზევით ამოვწიე და გავანათე.

ჩემ თანამგზავრს ჩვენი წარსული მხოლოდ იმიტომ ეჯავრება და სძულს, რომ „**მთელ ამ წარსულში არც ერთხელ ხალხის უმრავლესობას არ მოუხსნია მხრებიდან მძიმე ტვირთი სხვისი ბატონობისა** *)“. ჩემი თანამგზავრის ეს სიტყვები მომაგონდა და გავკვირდი. სანამ ჩვენ წარსულს ზემოხსენებულ „არ მოუხსნია“-სთვის შევიძულებდე—ჯერ თავდაპირველად ჩემივე თავი უნდა შევიჯავრო და შევიძულო, რადგან ჯერ არც მე „მომიხსნია მხრებიდან მძიმე ტვირთი სხვისი ბატონობისა“. **მე ვერ შევიძულებ მონას მხოლოდ იმისთვის, რომ ის მონაა, და თუ შევიძულე, მაშინ მისი მონობისაგან განთავისუფლებისთვის ბრძოლაც უნდა შევიძულო.** ეს კი... აქ გავჩუმდები. გაგრძელება მეტია და ორჯელ ორი ოთხი-ას დამტკიცება მხოლოდ დროს დამაკარგვინებს. უბედურ არს თავისუფალი, რამეთუ იგი ყოველთვის მონაა. ნეტარ არს მებრძოლი მონა, რამეთუ იგი თავისუფლებისკენ მიისწრაფვის.

**თავისუფალი მონა**

---

*) კურსივი ჩვენი არ არის.

გორახს, მაგრამ ფარცხვას ვერა ჰბედავდნენ. „დედამიწა თუ არ დასველდა, თესლი მაინც ტყუილად რად დავკარგოთ, ჭია-ღუა, ყვავ-ყორანი წაიღებსო“. ქიზიყელთ დიდი შიში ჰქონდათ—ამ ორი წლის წინ შიმშილობის მსგავსი არა დაგვატყდეს რა თავზეო, მაგრამ ღმერთმა იბრალა და ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მშვენიერი ჟუჟუნა წვიმები მოვიდა ზედი-ზედ. გულ-გახარებულნი ქიზიყელნი შეუდგნენ ფარცხვას და ეხლა მშვენიერი, თვალ წარმტაცი ჯეჯილები ამკობენ ქიზიყის ველ-მინდორს. კეთილი, რომ ამ ბოლო რიცხვში გაზაფხულისებური, ტურფა ამინდები სდგას, მოკრიალებულ, მთვარიან საამურ ღამეებით.

ყოველის მხრიდან დიდი მოძრაობის ხმა ისმის, აზრის აღორძინება, გამოღვიძება, მაგრამ ჩვენ ქიზიყელთ კი არა გვეშველა-რა. გაზეთის კითხვა რა არის, იმასაც კი არ ვეტანებით, რომ დავიკვეთოთ და მით ჩვენს გონებას საზრდო მივაწოდოთ, ავამოძრაოთ. სოფელში ორი-სამი გაზეთი როგორ არ უნდა იყვეს?

ეს ხომ ასეა მკითხველო, მაგრამ აბა ერთი „დილიჟანში“ ჩაბრძანდით და გასცილდით სიღნაღს. იქ სულ სხვა ატმოსფერაში ხართ. თქვენი თანამგზავრნი სულ სხვა აზრებით, მისწრაფებით არიან გატაცებულნი, სულ სხვა, ახალი, მომავალი, ცხოვრება ეხატებათ თვალ-წინ. წინად ამ მგზავრობის დროს წვრილმანებით იყვნენ იგივე პირნი გატაცებულნი, მაგრამ ეხლა უბრალო ვაჭარი, ხელოსანიც კი სხვა კილოთი ლაპარაკობს. იქნება ქიზიყმაც იგემოს ოდესმე ხილი ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა?! ინებოს ღმერთმა, იმ დრომდის კი სკოლების სიმრავლე, რასაკვირველია, თუ სადი, პედაგოგიური მეტოდი იქნება შიგ სწავლებისა გამეფებული და ცოდნის გავრცელება არის საჭირო.

**მეგობარი**

## დაბა-სოფლები

**სვერი** (იმერეთი). წოდებრივ უპირატესობას ჩვენში ჯერ კიდევ არ მოჰლებია ბოლო. ხშირად ეს უპირატესობა უმნიშვნელო რამეებში იჩენს ხოლმე თავს. ლხინში, მაგალითად, შეუძლებელია თამადამ არ დალიოს სადღეგრძელო პირველად აზნაურთა, მერმე მაძიებელთა, შემდეგ სასულიერო წოდებათა (თუ გლეხთაგანია) და ბოლოს გლეხთა. ამის გამო ხშირად განხეთქილება ხდება: „ის იქ დასვეს და მე არა! ის ადღეგრძელეს პირველად და მე არა!“ და სხვა. აქაური აზნაურები შრომა-მუშაობას ამ ბოლოს დროს მიეჩვივნენ, მუშაობენ ისე, როგორც გლეხნი, ხნავენ, სთესვენ, ბარვენ და სხვა. ერიდებიან მხოლოდ საფქვავის წისქვილში წაღებას. თუნდ რომ შიმშილით კვდებოდეს, არ დაფქვავს. თუ ძლიერ გაჭირვებული და ხელ-მოკლეა, მაშინ ეს საქმე ღამე უნდა აასრულოს, რომ არავინ ჰნახოს. ვინცობაა დაათენდა და ღამით შინ მისვლა ველარ მოასწრო, მაშინ წამოსვლა სწორი გზით შეუძლებელია. ტყესა, ველსა და ღრეზე ივლის, მხოლოდ იმიტომ, რომ არავინა ჰნახოს და მით კეთილ-შობილური ღირსება არ დაჰკარგოს. აზნაურის ქალი შრომას გაურბის. მჭადს არ გამოაცხობს, რო შიმშილით კვდებოდეს. იმათის აზრით, მჭადის გამოცხობასთან ერთად ღირსებასაც ჰკარგავს.

ჩვენსკენ ყველაზე დიდ უბედურებას მევახშეობა შეადგენს. მევახშეობს ყველა წოდება. სარგებელს წელიწადში მანეთზე იღებენ 30%—50%-ამდინ, თუმცა ამნაირ სარგებლის აღება აღკრძალულია.

**დ. ც—ძე**

**ანაკლია** (სამეგრელო). ანაკლია, ანუ ძველად ბერძენთა კოლონია „ჰერაკლია“ მდებარეობს მდინარე ენგურის მარჯვენა ნაპირზე, დასავლეთ საქართველოში. ძველად, როცა ბერძნებს შავი ზღვის ნაპირები სჭერიათ, ამ ნაპირებზე, სადაც კი აღებ-მიცემობა შეიძლებოდა, უშენებიათ ციხეები, ქალაქები და სხვა შენობები. ასეთი ადგილები იყო: „სუჯუკკალეს“, ახლანდელი ნოვოროსიისკი; „დიოსკურია“, აწინდელ სოხუმის მახლობლად; „პანტიკაპეიდ“, ახლანდელი ქერჩი; „ჰერაკლეა“ ანუ ახლანდელი ანაკლია და სხვ. მეთექვსმეტე საუკუნის ნახევარში სრულიად კოლხიდა ეკუთვნოდა ბერძნებს და რომაელებს. ანაკლიაში მაშინ ყოფილა საეპარქიო კათედრა, რომელიც არსებობდა მეთვრამეტე საუკუნის ნახევრამდე. ამ ჟამად დაბა ანაკლია ზუგდიდის მაზრაშია. ზუგდიდსა და ანაკლიას შუა გზატკეცილია. ეს გზა მეტად გაფუჭებულია, მაგრამ იმის შესაკეთებლად არავინა ჰზრუნავს. აქაურ მკვიდრთა ნახევარზე მეტი გადმოსახლებულია ახლო-მახლო სოფლებიდან და ცხოვრობენ უგანათლებულეს თავადის მინგრელსკის მამულზე. მცხოვრებნი მეტად ღარიბნი არიან, რადგან შემოსავალზე მეტი ხარჯი აქვთ. წელიწადში თავადის მიწა ერთი ქცევა ღირს 3 მან. ეხლა სხვა ხარჯი და გადასახადები გლეხს არამც-თუ არ დარჩება, არც-კი ეყოფა. წელს სხვა უბედურებას პეპელაც დაერთო: აქაც გაუჩნდა სიმინდს ეს გამანადგურებელი მწერი. ჩვენ დაბაში ორმოცამდე ვაჭარია. ჩვენს დაბაშივე ყიდულობენ დიდ-ძალ სიმინდს და გააქვთ უცხოეთში. მეთევზეობასაც ძალიან მისდევენ. მიწა ნოტიო და ჭაობიანია. ციებ-ცხელება ძლიერ ფეხ-გამდგარია, აქ სულ წვიმს და ტბაში ვცურავთ. უფრო მეტად იენისში. იენისში ზღვას წარმოადგენს ჩვენი დაბა.

25 ოქტომბერს ჩვენც ველირსეთ წარმოდგენას. სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს ბ-ნ გუნიას „დამა“. ხალხს ძალიან მოეწონა ეს წარმოდგენა.

**ს. გ—ია.**

## წვრილი ამბები

**როგორ ავრცელებენ გაზეთებს საზღვარგარედ.** საზღვარ-გარედ გაზეთის გამომცემელნი ათას ხერხსა ხმარობენ მეტის მუშტარის მოსაპოებლად და გაზეთის გასავრცელებლად. ამას წინად პარიზში „მატენ“-მა ერთ ადგილას რაღაც ნივთი ჩაფლა და თავის გაზეთში გამოაცხადა, ვინც ამ ნივთს იპოვნის, ჩვენგან ფულს მიიღებსო (აღარ მახსოვს, მგონი, 1000 ფრანკსაო). მთელი ერთი თვის განმავლობაში დიდ-ძალი ხალხი ბარებით დადიოდა და აქა-იქ სთხრიდა მიწას ჩაფლულ ნივთის საპოვნელად. ეხლა მეორე გაზეთმა, „პტი პარიზიენ“-მა „მატენ“-საც გადააჭარბა. ამ გაზეთის გამომცემელმა აიღო ერთი ჩვეულებრივი ბოთლი, სასამართლოს ბოქაულის თანადასწრებით პურის ხორბლით გაავსო, დაბეჭდა და შესანახად გადასცა. შემდეგ ყოველივე ეს თავის მკითხველს აუწყა და გამოაცხადა, ვინც გამოიცნობს, რამდენი მარცვალია ბოთლში და რა წონისაა იგი, მიიღებს ჯილდოდ 10,000 მანეთსაო. ამ ათი ათას მანეთს გარდა ბევრი სხვა, უფრო მცირე, ჯილდოებიც იყო დანიშნული. ეს ჯილდოები იმათთვის უნდა მიეცათ, ვინც დაახლოებით გამოიცნობდა მარცვლის რაოდენობას და სიმძიმეს. გაზეთში ჩამოთვლილი იყო პირობები და აწერილი თვით ბოთლიც, რომელშიაც „დაახლოვებით ოთხი გირვანქა ხორბალი“ ჩაეტევაო. არ გასულა ორი სამი დღე, რომ შეუდგნენ რედაქციაში პასუხების გზავნას. პასუხები რედაქციამ ჯერ პარიზიდან მიიღო, მერე პროვინციიდან, შემდეგ საზღვარ-გარეთიდან, პირველ ხანს ასობით, მერე ათასობით, შემდეგ ათი-ათასობით და ბოლოს ასი-ათასობით. ფოსტის ოცი თუ ოცდა-ათი კარეტა ამ წერილების მოტანას უნდებოდა ფოსტიდან რედაქციამდე. გამომცემელმა სამასი კაცი დაიქირა წერილების გასახსნელად და რიგზე დასაწყობად. თვით გაზეთმა ძალიანი გაიწია. ამ კონკურსამდე დღეში 1,100,000 ცალი იყიდებოდა, კონკურსის დროს-კი ყოველ დღე ორი მილიონი ცალი საღდებოდა. კონკურსმა ერთ თვეს გასტანა და ამ ერთ თვეში გამომცემელმა მოიგო 100 ათას მანეთამდე. ყველა, ვინც კონკურსში მონაწილეობას იღებდა, ყიდულობდა ერთ ბოთლ ხორბალს და სთვლიდა. ამბობენ, კონკურსის მონაწილეთ ამ გზით უნდა ეყიდნათ 17,666 ფუთი ხორბალი და გადაეთვალათ 67 მილიარდი 448 მილიონი მარცვალიო. ბოლოს შეიკრიბა „ჟიურიც“. ჟიურში იყვნენ პარიზის დიდ გაზეთების დირექტორები. თავმჯდომარეობდა ერთი გავლენიანი სენატორი. დაესწრნენ ვექილი და სასამართლოს ბოქაული. აი, ამ პატივცემულმა კრებულმა გახსნა დაბეჭდილი ყუთი, ამოიღო იქიდან ბოთლი და წამოყარა შიგ შენახული ხორბალი. იქვე, მეორე ოთახში, სამუნიციპალო კასსის მოსამსახურენი იყვნენ. თავმჯდომარემ მოუხმო იმათ და სთხოვა, ჟიურის თვალ წინ შესდგომოდნენ მოწიწებით ხორბლის თვლას. თვლამ $2^1/_2$ საათს გასტანა. ბოთლში აღმოჩნდა 39,588 მარცვალი. წონით—1 კილოგრამმი, 904 გრამმი იყო. სულ რედაქციამ მიიღო 1,314,801 პასუხი. აქედან 27 კაცს გამოეცნო რაოდენობა მარცვლისა. სამაგიეროდ, წონა ვერც ერთს ვერ გამოეცნო. ამრიგად პირველი პრიზი 28,000 ფრანკი—ვერავინ მიიღო (ამ პრიზს ის მიიღებდა, ვინც წონასა და მარცვლის რაოდენობას გამოიცნობდა). დანარჩენი პრიზები-კი ძალიან ბლომად დაარიგეს. რა თქმა უნდა, ყველაზე მოგებული მაინც თვით გამომცემელი დარჩა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**26 ნოემბერი**

**კორსაკოვსკი-პოსტი.** 26 ნოემბრიდან მარტამდე შესწყდა ნოვიგაცია. პირველი ფოსტა ძაღლებით იანვარში გაიგზავნება. იაპონიის ვიცე-კონსული კომურა იაპონიაში საზამთროდ წავიდა იაპონიის უკანასკნელ საპოსტო გემით.

**პავლოგრადი.** საბჭომ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ფუთ საქონელზე $^1/_4$ კაპეიკის გადასახადის აღების ნება კიდევ 6 წლით მოგვცენო.

**მოსკოვი.** 26 ნოემბერს სამოსამართლო პალატამ განიხილა სენატის მიერ გაუქმებულ პრეობრაჟენსკის საფსიხიატრო საავადმყოფოს მოსამსახურის საქმე, რომელნიც პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი იმაზედ, რომ ალექსანდრე კარრას მკვლელს გაქცევაში დახმარება გაუწიეს. პალატამ ერთს გადაუწყვიტა $2^1/_2$ წლით გამასწორებელ განყოფილებაში გაგზავნა, ხოლო მეორეს—ორის თვით დაპატიმრება.

**დანკოვი.** საგანგებო საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, შემცირდეს საარჩევნო ცენზი და მოემატოს ხმოსანთა რიცხვს.

**ლონდონი.** პოლპოლკოვნიკი გარრინგტონი დაინიშნა ელჩად აბისინიის ნეგუს მენელიკთან.

**კონსტანტინეპოლი.** სმირნადან მოსულ საქონლის სინჯვა გაუქმდა.

**ბელგრადი.** რადოვანოვიჩმა უკანვე წაიღო თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.—გარდაცვალებულ დედოფლის დების თაოსნობით ძველ სასაფლაოზე გადაიხადეს პანაშვიდი მეფე ალექსანდრესა და დედოფალ დრაგას სულის მოსახსენებლად.—სერბიის ქალაქ მიტროვიცაში და ბევრ სხვა ადგილებში წყალდიდობა იყო.

**ვილემსტადტი.** ვენეცუელაში შეიტანეს 15 ათასი თოფი და 10 მილიონი პატრონი. ხმა დადის, ვენეცუელა აპირობს თავსდასხმას კოლუმბიაზე, თუ ვინიცობაა შეერთებულ შტატებსა და კოლუმბიას შუა ომი ასტყდა პანამის საკითხის თაობაზე.

**პეტერბურგი.** 26 ნოემბერს წმ. გიორგის ჯვრის დღესასწაულობისა გამო ზამთრის სასახლის დარბაზში გამობრძანდნენ ხელმწიფე-იმპერატორი, ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრები და მთავრინები. პარადის შემდეგ ჯარის კაცთ სასახლეში სადილი გაუმართეს.

**27 ნოემბერი**

**პარიზი.** დელკასე ურუსოვის პატივსაცემლად სადილს გაჰმართავს. ურუსოვი 28 ნოემბერს წავა პარიზიდან.

**ქრისტიანია.** სტორტინგმა ერთხმად უარჰყო წინადადება იმის თაობაზე, რომ ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭოსთო.

**ნიუ-იორკი.** აქა ჰფიქრობენ, რომ რუსეთი და იაპონია უსათუოდ მორიგდებიანო.

**პეტერბურგი.** რადგან აგვისტოში მეტად ბევრს ქაღალდის ფულს თხოულობდნენ, მთავრობამ 25 მილიონის ქაღალდის ფული გამოსცა. ეს ფული ამ ჟამად გააბათილეს და დასწვეს.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.**

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პირველ დეკემბერს, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც იჯარით გაიცემა მებაღისათვის სახლის აგება სოფელ ავჭალაში. სამუშაო 1113 მან. 94 კაპეიკისაა.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმას შეუძლიან წინ-და-წინვე გასინჯოს პირობანი და აღრიცხვა წყლის მილის განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9-დან 3 საათამდე. (ნ. 3—2)

თმის საღებავი

ნიგვზის

ექსტრაქტიდან

№ 4711

ჭაღარა თმასა, გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა

მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა და სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 9—3)

## ქუთაისში

სამ. ი. თოფურიას

## სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

## ცინკოგრაფია

**წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა**

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

## „ცოდნა“

### ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება ყოველგვარი 1904 წლის კალენდრები.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**

1904 | На ½ года 5 р. съ перес. | годъ изданія X. | На годъ 8 р. съ перес. | ГОДЪ

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ

**торгово-промышленную, политико-общественную и литературную иллюстрированную газету**

## „ЗАКАСПІЙСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Задачи газеты „Закаспійское Обозрѣніе“ заключаются, главнымъ образомъ, въ выясненіи экономической и общественной жизни Закаспія и въ содѣйствіи развитію промышленности въ Средней Азіи и русскихъ торговыхъ сношеній съ сопредѣльными съ Закаспійской областью государствами.

Для послѣдней цѣли при газетѣ „Закаспійское Обозрѣніе“ издается въ видѣ приложенія

## ПЕРСИДСКАЯ ГАЗТЕА

того-же наименованія, спеціально предназначенная для сближенія Персіи съ Россіей.

## ПЕРСИДСКАЯ ГАЗЕТА

**снабжена иллюстраціями, а также и русскимъ переводомъ.**

Въ особыхъ ежемѣсячныхъ иллюстрированныхъ приложеніяхъ въ теченіе 1904 г. будутъ помѣщены:

**„Пребываніе г. военнаго министра А. Н. Куропаткина въ Туркестанскомъ краѣ въ 1901 году“ и „Музей Императора Александра III“.**

Первое изъ этихъ произведеній иллюстоировано автотипіями въ числѣ свише 100. Второе-же представляетъ роскошный альбомъ автотипныхъ снимковъ и лучшихъ картинъ, находящихся въ музеѣ Императора Александра III.

Такимъ образомъ, въ концѣ 1904 г. подписчики будутъ имѣть полное иллюстрированное описаніе поѣздки г. военнаго министра А. Н. Куропаткина по Туркестанскому краю и полный альбомъ автотипныхъ снимковъ съ лучшихъ картинъ музея Императора Александра III, заключенный въ изящную папку.

Въ отдѣльной продажѣ „Пребиваніе г. военнаго министра А. Н. Куропаткина въ Туркестанскомъ краѣ“ будетъ стоитъ 5 р., „Музей Императора Алтксандра III“—3 р. Подписная цѣна: за годъ—8 руб., за 6 мѣсяцевъ—5 руб., за 3 мѣсяца 3- руб. 75 к. за 1 мѣсяцъ—1 руб. за границу за годъ—12 руб.

Разсрочка платежа допускается: при подпискѣ какъ городскихъ, такъ иногороднихъ подписчиковъ. вносится 2 руб., а затѣмъ ежемѣсячно до уплаты всей годовой суммы по 50 коп.

Лица, подписавшіяся съ разсрочкой платежа, получаютъ всѣ безплатныя приложенія.

(Ђ. 3—1)

Дозв. ценз. Тифлисъ 27 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.т. Т—ва